საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

პრესრელიზი 28 იანვარი, 2022

# საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მეშვიდედ აღინიშნება

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით, 2 თებერვალს, საქართველოში უკვე მეშვიდედ, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნება!

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 31 მილიონ ადამიანამდე მონაწილეობს და ერთიანდება საერთო სლოგანის გარშემო: იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამაღლა კითხვის სიხარული და თავადაც შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში.

ასოციაციის ინიციატივით, საქართველო ტრადიციულად, წელსაც შეუერთდება ამ საერთაშორისო ინიციატივას და გახდება მსოფლიოს მასშტაბური ღონისძიების ნაწილი. პროექტის საერთაშორისო ორგანიზატორია „Litworld".

პანდემიიდან გამომდინარე წლევანდელი ღონისძიებები კვლავაც ონლაინ რეჟიმში გაიმართება. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს წელსაც შემოუერთდებიან სკოლები, უნივერსიტეტები, საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები და სხვა. ქართველი ავტორები შეხვედრებს საქართველოს ყველა რეგიონში ჩაატარებენ, ისაუბრებენ წიგნიერების მნიშვნელობაზე და წაიკითხავენ ტექსტებს. ღონისძიებაში *სამოცამდე* საგანმანათლებლო დაწესებულება და ამდენივე ავტორია ჩართული, მათ შორის დიანა ანფიმიადი, ლევან ბერძენიშვილი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ტორესა მოსი, ანდრო დგებუაძე, ზვიად კვარაცხელია, ლელა ცუცქირიზე, ვასო გულეური და სხვა.

2 თებერვალს, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ერგნეთს ესტუმრება, სადაც აგვისტოს ომის მუზეუმის საგანმანათლებლო სივრცეში მედიათეკის ჩამოყალიბებას ჩაუყრის საფუძველს. ასოციაციის წარმომადგენლები ბიბლიოთეკის გასახსნელად წიგნებს ჩაიტანენ და ადგილობრივ მოზარდებთან და პედაგოგებთან შეხვედრას გამართავენ.

ტრადიციულად, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის დასკვნით ღონისძიებაზე უკვე მეშვიდედ გამოვლინდება და დაჯილდოვდება წლის წიგნის ქომაგი. ჯილდო ასოციაციის ინიციატივით 2016 წელს დაარსდა და მას შემდეგ ყოველწლიურად გადაეცემათ იმ ადამიანებს, პროექტებსა თუ ინსტიტუციებს, რომლებიც წლის განმავლობაში განსაკუთრებულად უწყობენ ხელს საქართველოში წიგნიერების გავრცელებას. წინა წლებში აღნიშნული ჯილდო გადაეცათ: ნინო კასრაძეს (2021), პროექტს ,,წიგნის თარო" (2020), მამუკა ხაზარაძეს (2019), თემურ ჩხეიძეს (2018), ფორმულა კრეატივს (2017), ლევან ბერძენიშვილს (2016).

საკონტაქტო პირი: ანა მარწყვიშვილი +995 598 55 93 68

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი